საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 2247 2019 წლის 25 ოქტომბერი ქ. თბილისი

„რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე – გორის, საჩხერისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების სოფლებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 მარტის №637 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე – გორის, საჩხერისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების სოფლებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 მარტის №637 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიის – სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე – გორის, საჩხერისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების სოფლებში არსებული აბონენტების მიერ 2018 წლის ნოემბრის თვიდან 2019 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, „მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება“ (პროგრამული კოდი: 24 15) – პროგრამის ფარგლებში.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**